№110 2016 წლის 1 თებერვალი ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2016 წლის განმავლობაში საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის 3^1 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მიეცეს უფლება, 2016 წლის განმავლობაში, განახორციელოს საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვები გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის - „საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, ტექნიკური პირობები, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები“ - პროგრამით (კოდი: 02 03) გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**